№ 248
ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1899 წ.

**ხაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 248
ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

## აი გიდი, მეგობრებო

კომედ. 4 მოქ. თხზ. ვ. სარდუსი, თარგ. კ. ბაქრაძესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ანასტ. აბაშიძისა, ნებიერიძისა, გარელი, წერეთელი, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ალამიძე, მძინაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ამ მოკლე ხანში დანიშნულია ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

## ი ყ ი დ ე ბ ა

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის" რედაქციაში

## „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი",

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეორედ** გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.
ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰღირს წიგნი ექვს შაურად.

მოვიწვევ მსურველებს ახლად შედგენილ ქართულ საეკლესიო მგალობელთა გუნდში მონაწილეობის მისაღებად გალობის დროს; მოწონებულ მგალობელს დაენიშნება ჯამაგირი. პირობების შეტყობა შეიძლება ჩემთან.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, სახლი № 5.

გამგე—ლოტბარი გუნდისა ალექსანდრე გრიგოლის ძე კავსაძე.
(6—უ.—2)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი** აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი

## წლიური კრება

მოხდება მომავალის 1900 წლის 20 მარტს. (3—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—ჭბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ფელეტონი

### მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

10 ივნისს ხუთშაბათს, დილის ხუთ საათზედ გავემგზავრენით ეტლით იორდანისაკენ ჩემის ერთგული თანამოგზაურით. გავიარეთ სოფელს ბეთანიაზედ; იერუსალიმსა და იორდანეს საშუალ გზაზედ არს სახლი მოგზაურთ შესასვენებლად და სიცხისაგან დამაშვრალთ. ამ სახლს უწოდებენ: „სასტუმროდ მოწყალე სამარიტელისა", მოხსენებულისა სახარების იგავში. ამ გზით ჩავიარეთ ღირსის მამის გიორგი ქოზევიტელის მონასტრისაკენ, იგი აღშენებულია კლდეზედ, ღრმა ხეობაში, მისავალი გზა აქვს შორით საცალფეხო, წინ ხეობაში წყარო ჩამოუდის, ეს წყალი ზამთრობით მიმდინარეობს იერიქონამდის, ხოლო ზაფხულობით კი გზაზედ შრება და იქამდის ველარ აღწევს. შორიდგან დავიწყერეთ პირჯვარი და შიგ უდაბნოში ვერ მოვახერხეთ შესვლა სიშორისა და გზის სივიწროვისა გამო და რადგანაც იორდანისაკენაც დავიგვიანებდით, დღის ცხრა საათზედ მივაღწიეთ სავანეს ღირსის მამის გერასიმე იორდანისპირელისასა. მონასტერი იგი მდებარეობს იორდანე მდინარისა და მკვდარის ზღვის მახლობლად. შევედით ეკლესიაში, ვილოცეთ და შესანიშნავი ძველადგან არა აღმოჩნდა რა; კანკელი ახალი აქვს, რუსეთიდგან შემოწირული ხატებით. აქ გვიჩვენეს კარი, რომელს მოჰხვედრია ტყვია რევოლვერისა; იგი უსროლია ბერძნის პატრიარქის ნიკოდიმესათვის ბერძნის მორჩილს. აქ შევისვენეთ პირველ საათამდე და შემდეგ ჩავედით ეტლით მკვდარს ზღვაზედ, რომელიც ჰშორავს გერასიმეს მონასტერს ოთხის ვერსით. აქაც შევისვენეთ ორი საათი, ვიბანავეთ ზღვაში; ძლიერ მლაშე-მწარეა ამ ზღვის წყალი; თვალში რომ მოხვდეს, ფრიად სწვავს; ნავთ-კუპრის სუნი უდის ამ ზღვასა. ცოცხალი თევზი და არა რაიმე სხვა პირუტყვი არ მოიპოვება ამ ზღვაში; იორდანიდგან თუ შევიდა თევზი, მსწრაფლ იხოცება და ტალღები გარეთ გამოაგდებს და არცა აქეთ მსვლელობა ხომალდითა ანუ ნავითა ამ ზღვაზედა. მკვდარი ზღვიდგან ამოვიარეთ იორდანეს მდინარესაკენ; აქ ვაკურთხეთ წყალი დიდის განცხადების წესით, ვითარცა ექვსს იანვარსა, დღესა ნათლისღებისა უფლისასა, ვსვით მისგან და ვიბანავეთ შიგ. წყალი მდორედ მომდინარეობს, თუმცა რუსები ამას ჩქარს უწოდებენ. წყლის ნაპირები ლერწმითა და ტყით არის დაფარული. მოგვითხრეს ჩვენ, რომ ამ ადგილზედ, სადაც ჩვენ წყალი ვაკურთხეთ, ნათელიღია უფალსა იესო ქრისტესა. ექვსს იანვარს მიტროპოლიტი ბერძნისა, აქ ჩამოდის და წყალს აკურთხევს, ამ დროს დაესწრობა ხოლმე ათასამდე კაცი რუსის მლოცავნი.

ამ ადგილიდგან სამი ვერსის სიშორეზედ არს წმ. იოანნე ნათლისმცემლის უდაბნო, სადაც ამოვიარეთ, შევედით ვილოცეთ, დავათვალიერეთ ეკლესია და შესანიშნავი აქაც არა აღმოჩნდა-რა. მონაზონნი მამანი ამ ორსავე მონასტერში ბერძენნი და არაბნი არიან. აქედგან ამოვიარეთ იერიქონში, რომელიც მდებარეობს მონასტრიდგან ერთის საათის მანძილის სიშორეზედ. აქ არ შევისვენია, გავწიეთ პირდაპირ წმ. ელისე წინასწარმეტყველის წყაროსაკენ, რომელი კეთილ გემოვანია, წისქვილს აბრუნებს და რწყავს აქაურს ვენახებსა და დანაკის კუდთა (ინდის ხურმა), ლიმონისა, ფორთოხალის და ბანანის ბაღებს. ელისეს წყაროს სათავესთან შესრულდა რვა საათი საღამოსი; აქედგან ხუთის ვერსის სიშორეზედ არის მაღალი მთა, რომელზედაც ქრისტე მაცხოვარმა გაატარა მარხვითა და ლოცვითა ორმოცი დღე და ღამე; ამისათვის ამ მთას უწოდებენ „ორმეოც დღიან მთად". ეს მთა დაჰყურებს იორდანის ღელეს; ამ მთაზედ არის ბერძენთა სავანე. ელისეს წყაროდგან შევუდექით ქვევით მე ჩემის თანამოგზაურით მ. დეკანოზით და კავასითა, რადგანაც ეტლი ვერ ავიდა ამ გზით, მონასტრის ბაღამდის მივაღწიეთ, თითქმის შუა გზამდის, რომ ღამის ცხრა საათი შესრულდა; შემდეგ ვეღარ შევმელით ფეხით სიარული აღმართზედ, შორიდგან ვილოცეთ ეს წმიდა ადგილი, დავბრუნდით უკანვე ელისეს წყაროზედ, და ეტლით დავბრუნდით იერიქონში. აქ არის სახლი რუსთა მლოცველთა მისაღებელად; ეს სახლი აშენებულია რუსთა პალესტინის საზოგადოებისაგან და აქ დავიბანაკეთ იმ ღამეს. ძლიერ ცხელოდა, როგორც აბანოში; კარსა და ფანჯრებს არ აღებენ, რადგანაც სახლი გაივსება მუმლითა და კოღოთი და ღამე მოსვენებას არ მისცემენ კაცსა. იერუსალიმში და იერიქონშიაც საწოლები გარემოს დაფარულია თხელის ქსოვილის ფარდებით, რომ კოღოები არ შევიდნენ და არ უკბინონ მძინარესა. ეს სასტუმრო აშენებულია აგერ უკვე ოცი წლიწადია. იერიქონში სცხოვრობენ ბედუინები და არაბნი მაჰმადის სარწმუნოებისანი.

მთელს პალესტინაში არ მოიპოვება ამგვარი მშვენიერი ფინიკის ხეები, ვითარცა იერიქონშია. რუსთა საზოგადოებას თავისი ბაღიც აქვს იერიქონში.

ეს სასტუმრო სახლი აღუშენებიათ იმ ადგილზედ, სადაცა გარდამოცემით უცხოვრია ზაქეს მეზვერეთა მთავარსა, სახარებაში მოხსენებულსა. ხე, რომელზედაც ავიდა ზაქე იესოს პირის ხილვისათვის, იწოდება ქართულს სახარებაში „ლეღუ სულელი" ხოლო სლავურში „ягодичина"; ერთი ეს ხე დგას რუსის მეტოქიაში იგი იზრდება საშუალ ნიგვზის ტოლი; ნაყოფი მისი და ფურცელნი ემსგავსება ლეღვსა, ხოლო წვრილი ნაყოფი და ფურცელნი ახსია, არა მწიფდება და მომეტებული ნაწილი ძირს ცვივდება. ხე ამისი ჩვენებურს ლეღვზედ უფრო დიდი იზრდება, და ხილიცა მისი უგემურია და უსარგებლო. რუსთა საზოგადოების ეზოში აღმოუჩენიათ ნაშთი ძველის ეკკლესიისა, რომელსაც ეხლა სწმენდენ.

7-ს ივნისს, ღამის 12 საათზედ, ამ სასტუმროში მცხოვრებს მორჩილს რუსსა შემოსმენია გარედან ხმა; გასულა ქუჩაში და უნახავს, რომ მათის მამულის მახლობლად გზაზედ ამოუთხრიათ მიწა არაბთა და მიაგორებენ დიდს ქვასა. უკითხავს, რას მიაგორებთო? არაბს უპასუხნია ქვას მივაგორებთო. რუსსაც უპასუხნია ქვას მაგგვარი ზრიალი არ ექმნებაო. შემობრუნებულა სახლში, რათა მოახსენოს ეს შემთხვევა უპირატესს მონაზონსა, და ვიდრემდის გასულან იგინი გარეთ, ქვაბი უკვე ცარიელი დახვედრიათ. თუმცა-ღა გამოუცხადებიათ რუსთა მონაზონთა

*) იხ. „ივერია" № 247.

ექიმი
კ. ს. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—79)

ტფილისი, 16 ნოემბერი

ბატონ-ყმობა რომ გადავარდა ჯერ რუსეთის შიდა გუბერნიებში და მერე ჩვენშიაც, სხვა საგლეხო კანონებს ერთი განსაკუთრებული კანონიც ზედ დაერთო, ესრედ წოდებული დებულება მიზომილის მიწისა, ანუ „ნადელის" შეხსნისა. ამ კანონის ძალით ყმობიდგან განთავისუფლებულს გლეხს უფლება მიეცა თავისი „ნადელი" დაეხსნა მთავრობის დახმარებით. უკეთუ გლეხს საკმარისი ფული არ ექმნებოდა „ნადელში" მიცემულის მამულის სასყიდლად, მთავრობას დაესესხებოდა, ნასესხ ფულს მებატონეს მისცემდა და სრულიად და სავსებით სპობდა თავისს ნაბატონართან ყოველგვარს ნივთიერსა და სავალდებულო კავშირსა. ამ გვარად განთავისუფლებული გლეხი, ანუ თავისუფალი მემამულე ვალდებული იყო მთავრობის წინაშე წვრილ-წვრილად გარდაეხადა ვალი 49 წლის განმავლობაში და ეძლია ვალად აღებულ ფულში ექვსი პროცენტი სარგებელი.

მთავრობას და მხნელ-მთესველის მოტრფიალე ლიტერატურას დიდი იმედი ჰქონდა ამ კანონისა. ასე ჰფიქრობდნენ, რომ ახალი კანონი სრულიად შესცვლის გლეხ-კაცის ვითარება-მდგომარეობას, რომ დღეიდგან მისი ეკონომიური წინ მსვლელობა უზრუნველყოფილია და სხ. იმედები დიდი იყო, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოჩნდა. რუსეთის გლეხ-კაცობამ ვერ აიტანა ტვირთი ვალისა და სარგებლისა და ისე დავალიანდა, რომ მთავრობისავე დაუხმარებლივ ყოვლად შეუძლებელი გახდა მისი ფეხზედ წამოყენება. მთავრობაც, მეტი ჯანი არ იყო, უნდა მიჰშველებოდა დავალიანებულს გლეხ-კაცობას, თორემ სულ ერთიანად განადგურდებოდა.

მთავრობის დახმარება და შეწევნა ბევრნაირი იყო. ხან უფრო გაჭირვებულთ აღმოუჩენდა დახმარებას და აპატიებდა შეუტანელს და ვალად დარჩენილს გარდასახადს, ხან ცალკე რომელსამე ერთს კუთხეს შეუმცირებდა წლიურს შესატანს, ხან კიდევ ვალად დარჩენილს გარდასახადს გაანაწილებდა რამდენისამე წლით და წვრილ-წვრილად ახდევინებდა. როცა არც ესა ჰკმაროდა, აუკრეფავს ფულს მილიონობით აპატიებდა ხოლმე. ისეთი მაგალითიც იყო, რომ ერთხნობით აპატია გლეხკაცობას ას მილიონზედ მეტი ვალად დარჩენილი გარდასახადი.

ყველასათვის ცხადია, რომ ვალად აღებულ ფულშიდ ექვსის პროცენტის სარგებლის ძლევა დიდი არ არის, მერე მაშინ, როცა ეს ექვსი პროცენტი, ანუ ათ თუმანზე ექვსი მანეთი წელიწადში, თვით თავნსა სწყვეტავდა ორმოც-და-ცხრა წლის განმავლობაში. დიახ, დიდი არ არის სარგებელი, მაგრამ რუსეთის გლეხ-კაცობამ ვერ აიტანა ასეთი მცირედი ტვირთი. ვერ შესძლო სარგებლის ძლევა, და ისე დავალიანდა, რომ გარდაუხდელი ფული, ათ მილიონობით კი არა, ასობით ითვლება. ერთის სიტყვით, ვალი ძველის დარჩენილის გარდასახადისა იმ ზომამდე ავიდა, როცა მხნეობით სავსე მთავრობის მოხელეს ღონე და ხერხი ველარასა ხდება, როცა საქმეს ველარა ჰშველის პოლიციის ცნობილი „დანიავება" (выколачиванiе) და როცა ნაღვლიანის თავის-ქნევით იტყვიან ხოლმე, იმედი აღარ არის, რომ შემოვიდეს ეს ფულიო („безнадежное поступленiе") და ძალაუნებურად დავთრებიდგან უნდა ამოიშალოსო (списать со счета).

მიზეზი ასეთის უნუგეშო მდგომარეობისა უმთავრესად ის იყო, რომ ბატონ-ყმობიდგან განთავისუფლებულის მეურნეობის ვითარება არ შეეფერებოდა ნასესხის ფულის გარდახდის პირობებს. გლეხს შემოსავალი ნაკლები ჰქონდა მამულიდგან გარდასახადი კი ბევრი ამ ვალის გადახდის შეუთანხმებლობის ბრალია, რომ ვალი საკვირველის სისწრაფით იზრდებოდა და მეურნეობას გლეხისას ხომ ჰღუპავდა და აუძლურებდა, ზნეობრივადაც საშინლად სჩაგრავდა „ახალ მოქალაქეს", სასოებასა და იმედს უკარგავდა ბედნიერის მომავლისას. კარგად მოგეხსენებათ, რომ გულ-გატეხილი კაცი ცხოვრებასთან ბრძოლაში აღარაფრად ვარგა და როცა კი რაიმე გაჭირვება თუნდა მცირედიც, კარს მიადგება, ტანის კანკალითა და ცახცახით ღრიალს მოჰყვება ხოლმე: მიშველეთ, ქრისტიანებო ვინა ხართ, ვიღუპებიო!..

მთავრობამ კარგად იცის გაჭირვებული მდგომარეობა გლეხ კაცობისა. შეუძლებელია, რომ არა სცოდნოდა, რადგან იმაზედ ადრე აბა ვინ გაიგებს, როცა წინადვე ნაანგარიშევი და ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი შემოსავილი არ შემოდის ხაზინაში. ამის გამო ორმა უწყებამ: შინაგან საქმეთა და საფინანსომ, დიდი ხანია ხელი მოჰკიდა ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს და ჰმეცადინეობს წახდენილი საქმე გამოაკეთოს. მთავრობის მეცადინეობა ამ საქმის გამობრუნებისა ორ ხანად უნდა გაიყოს. პირველი ხანა 1894 წლამდე მოდის, მეორე ამ დროიდგან დღევანდლამდე. მთავრობის მეცადინეობის პირველ ხანას არ შევეხებით, რადგან ამ დროის დახმარება მოწყალებას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ დახმარებას გაჭირვებულ კაცისას. დრო გამოშვებით ვალად დარჩენილ გარდასახადის პატიება და ჩუქება საქმეს ვერ უშველის, რადგან მიზეზი ამ ვალის გაჩენისა მიზეზადვე რჩება. უფრო საყურადღებოა მეორე ხანა, თუმცა ჩვენის აზრით არც ამ ხანაში მიღებული ღონისძიება ჩაითვლება უებარ და უკვდავების წამლად. შედარებით პირველთან-კი მეორე ხანა დიდი წარმატებაა.

რაკი მთავრობამ გარდასწყვიტა აეხვიოს მოწყალებისა და ჩუქების გზასა, ისეთი საშუალება და ღონე უნდა ეღონა, რომ დავალიანებულ გლეხ-კაცობას შეძლება მისცემოდა, ჯერ ერთი, ძველი ვალი მოეშორებინა თავიდგან, ისე-კი, რომ ნივთიერი მისი მდგომარეობა არ შერყეულიყო, და, მეორე, მომავალში აღარ დასდებოდა ეს ვალი. ამ განზრახვის მისაღწევად მთავრობამ გამოსცა სულ სამი კანონი და მათ განსამარტავად სამი წესებს გარდა მრავალი საყოველთაო განკარგულება. ამ კანონებში და განკარგულებაში ნათლად იხატება სურვილი მთავრობისა დაეხმაროს დაძაბუნებულს გლეხს.

პირველი კანონი გამოქვეყნდა 7 თებერვალს 1894 წლისას. ამ კანონის ძალით დაევალა მომრიგებელ შუამავალთ, სადაც კიდევ დარჩნენ ეს მოხელენი, და ხარჯის ამკრეფ ინსპექტორებს, რომ დაწვრილებით შეესწავლათ ეკონომიური მდგომარეობა დავალიანებულის გლეხ-კაცობისა. მათ მიერ შეკრებილი ცნობანი ძვირფასს მასალას წარმოადგენს გლეხ-კაცობის ეხლანდელ ვითარების შესასწავლად. ჩვენ არა გვგონია რომ უკეთესი მასალა კიდევ სადმე მოიპოვებოდეს ამ საგნის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად.

შეკრებილის ცნობების მიხედვით ყოველი საგუბერნიო საგლეხო საკრებულო ვალდებული იყო შეეჩერებინა ძველის, ვალად დარჩენილ გარდასახადის გარდახდევინება, უკეთუ ამას მოითხოვდა დავალიანებული ოჯახი და გადედო მისი გარდახდა იმ დროსთვის, როცა თავნი სრულიად მოსწყდებოდა. ამ სახით გადატანილ ძველს ვალში, რასაკვირველია, სარგებელს არ იღებდა მთავრობა.

რადგან ამ კანონით ბევრმა არ ისარგებლა, მთავრობამ გამოსცა 13 მაისს 1896 წელს ახალი კანონი. განსხვავება ამ კანონისა და ზემოდ დასახელებულს შორის ისაა, რომ საგლეხო საკრებულოს შეეძლო გლეხის მიერ უთხოვნელად დაეწესებინა ისეთი რაოდენობა გარდასახადისა, რომ გლეხს ადვილად შესძლებოდა მისი გაძლოლა. მაგალითებრ, თუ წელიწადში უძნელდებოდა ოთხის თუმნის გადახდა, ერთი თუმანი გაეხადა. საქმეს ვერც ამ კანონმა უშველა. მაშინ მთავრობამ გამოაქვეყნა 31 მაისს ამ 1899 წლისას ახალი კანონი, რომლის ძალით, თხოულობს თუ არა თხოულობს დავალიანებული გლეხი შეღავათს წლიურ გარდასახადისას, ან ძველის ვალის გადატანას სხვა დროისათვის, საგლეხო საკრებულონი მოვალენი არიან შეისწავლონ მისი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა და ისეთი გარდასახადი გაუჩინონ, რომ ადვილად შეეძლოს მისი გაძლოლა დაუვალიანებლად. ერთის სიტყვით, თუ აღმოჩნდა, რომ გლეხს არ შეუძლიან 5 მან. მეტის გარდახდა წელიწადში, თუმცა მოვალეა იხადოს 20—25 მ.

---

ამ შემთხვევის შესახებ პოლიციისათვის, მაგრამ მპოვნელნი არაბნი არა მხილდებიან.

იერიქონში ისეთი ტროპიული სიცხეები არის ხოლმე, რომ 14 ივნისს, დღესა ელისე წინასწარმეტყველის ხსენებისასა, სრულიად მწიფე ყურძენს აკურთხებენ ყოველს წელსა. ერთს რუსს, ქ. ბოღდანოვიჩს აღუშენებია ქალაქ იერიქონში საკუთარის საფასით ეკკლესია ელისე წინასწარმეტყველის სახელზედ, მასთანავე სასტუმრო სახლი და ბაღიც მლოცავთა შესაწყნარებლად. სიკვდილის წინად ყოველივე ეს უანდერძებია და გარდაუცია ბერძენთა პატრიარქისათვის. ამ გვარს სახლს მომეტემულად ჰსაჭიროებენ რუსთა მლოცავნი, რომელთა რიცხვი, პალესტინაში მომავალთა, მრავლდება ათასობითა, და საზოგადო რიცხვით ერთი სამად აღემატება ყოველთა ქრისტეანეთა მლოცავთა, ეროვნების განურჩევლად.

ეს მაგალითი შეწირვისა მომაგონებს მეორე ამგვარს შემთხვევას, მხოლოდ ქართველთ ცხოვრებისას. ერთი საქართველოს კეთილშობილთაგანი, კაცი ცხოვრებაში გამოცდილი და უკვე მოხუცებულ ჩ. ამ ორის წლის წინად აღძრული მოღვაწეობითა კეთილმსახურებისათა წავიდა იერუსალიმს და თვისი საკუთრება რამდენიმე ათასი მანეთი შესწირა იერუსალიმის საპატრიარქოს, ერთს წელზედ მომეტებული ვეღარ შესძლო იქ ცხოვრება და ეხლა ათონის ქართველთა სავანეში იწყობს მოღვაწეობას. ცხადია, გაცემულს ფულს აღარ დაუბრუნებენ ბერძენთა მონაზონნი. იქ რომ არ შეეწირა, განა თვით საქართველოში მცირედნი არიან სავანენი და ეკკლესიანი, რომელნიც დიდს ნაკლულევანებას ითმენენ და მოოხრებაში მიდიან!

სხვა და სხვა ერნი, აღმსარებელნი ქრისტეს სარწმუნოებისა მართლ-მადიდებელთ გარდა, მოდიან იერუსალიმში სალოცავად არა იმოდენა რიცხვით, როგორც რუსეთიდგან. ფრანგნი, იტალიელნი, ისპანიელნი, გერმანელები და ინგლისელები მოდიან იერუსალიმს მომეტებულად ზამთრობით, შემდეგ წლიურის შემოსავლის შევსებისა და უფრო წესიერად. თითოეულს კრებას ერთად მოსულისა თვისი ამორჩეული კაცი ჰყავს, ამას ემორჩილებიან ვითარცა წინამძღოლსა, ეს ერთი ჰხარჯავს ყოველის საჭიროებისათვის, იგივე აძლევს კრებას ანგარიშს ყოველ დახარჯულ ფულისას. ესენი არც ქვეითად დაიარებიან სალოცავად, როგორც რუსთა მდაბიო ხალხთაგანი; არამედ ჰქირაობენ ეტლებსა, ცხენებსა, ვირებსა ანუ ჯორებსა და ისე მოგზაურობენ წმ. ადგილების, მოსალოცავად. არც დიდხანს რჩებიან პალესტინაში, ორი კვირა, ანუ ერთი თვე, და შემდეგ ყოველნი ერთად ჰბრუნდებიან სამშობლო ქვეყანაში, ხოლო რუსთა მლოცავნი მოსულნი პალესტინაში დეკემბერში, რჩებიან აქ ივნისის დაწყებამდის, ხოლო ბევრნი სრულს წელსაც, ამასთანავე შეხვდებით მრავალსა მათგანსა, რომელნიც რამდენსამე წელს ატარებენ იერუსალიმში მამაკაცნი და დედაკაცნი; და ზოგნი მათგანნი მეორედ და მესამედ არიან მოსულნი იერუსალიმს. მე თითონ ვნახე ცეცხლის გემზე, რომლითაც მოველი იაფფაში, ერთი რუსის ახალგაზდა ქალი, რომელიც მესამედ მოდიოდა იერუსალიმში სალოცავად. იორდანეს ვაკე ყველაზედ უღრმესია დედა-მიწის ზურგზედა, იგი დაბლად არის ზღვის კიდეზედ 1400 ფუტითა.

11 ივნისს, პარასკევს, დღის 11-ს საათზედ, დავბრუნდით იერუსალიმს მშვიდობით ჩვენს ბინაზედა. 12 ივნისს წარვედით მთად კერძო, რომელი ჰშორავს იერუსალიმს რვა ვერსით. აქ არის რუსთა დედათა სავანე, რომელსაც განაგებს იერუსალიმის რუსთა მისსიის არქიმანდრიტი; წირვას მივუსწარით; გვიჩვენეს აქ ადგილი, სადაცა წმ. ქალწული მარიამ მოიკითხვიდა ელისაბედსა. ამ დღეს ფრანგებმა იდღესასწაულეს ამავე დაბაში შობა იოანნე ნათლისმცემლისა, რადგანაც ეს რიცხვი ეთანასწორება 24 ივნისს იულიოსის კალენდარისამებრ, როდესაც მართლმადიდებელი ეკკლესია აღასრულებს დღესასწაულსა იოანნე წინამორბედის შობისასა.

ფრანგებს აქვთ აქ ორი ტაძარი, ერთი ზაქარიას სახლის ადგილზედ, და მეორეც იოანნე წინამორბედის შობის ადგილზედ. რუსთა დედათა მონაზონნი არიან მთადკერძოს სავანეში ასამდე სულნი. ზოგადი ტრაპეზი აქვსთ; წინად კი ყველას თავისის ხარჯით უცხოვრიათ. წირვაზედ ამ სავანეს ეკკლესიაში წაიკითხა სახარება რუსის მღვდელმა ერისაკენ პირ მოქცეულად. როგორც სჩანს, რუსთაც მიუღიათ ასეთი ეკკლესიური წესი, რაიცა სარწმუნოების დოღმატს ანუ კანონს არ შეადგენს.

13 ივნისს, კვირას, ვწირე რუსთა მონასტრის საკრებულო სამების ტაძარში მამა წინამძღვართან; თანამწირველნი ვიყავით რვანი; არქიმანდრიტს მიტრაძედ ჯვარი აქვს; ასამაღლებლის დროსა: „მადლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღმრთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა", გააღეს სამეუფონი კარნი და წინამძღვარმან ჯვარით, მოღებულით ტრაპეზიდგან, გამოსახა ერსა ზედა ნიშანი ჯვარისა, ესე იგი, აკურთხა იგინი ჯვარითა; ეგრეთვე მოიქცა ასამაღლებელის დროსა: „და იყვნენ წყალობანი დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა". ამასაც ეგრეთვე მოართვეს ლანკანითა სეფისკვერნი, ვითარცა პატრიარქის წირვის დროსა, და ამანაც გადასწერა ჯვარი ხელითა ლანკანსა.

ამ დღეს სიცხე 50 გრადუსზედ მომეტებულია; დილის რვა საათის შემდეგ გარედ გასვლა ძნელია, სახლში 26 გრადუსია, ეკკლესიიდგან გამოსვლის შემდეგ, თვალები ამიჭრელდა მეტის-მეტ სიცხისაგან, ვეღარა დავინახე-რა.

14 ივნისს შევედი წმ. იაკობ მოციქულის ტაძარში. ამ მონასტერში სცხოვრობს სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქი. წინად ეს მონასტერი შეადგენდა ქართველთა სავანეს, დიდი ვრცელი ტაძარია; ქართული ნაშთი ყოველივე მოუსპიათ შიგ, ეზო ვრცელი და ფართო აქვს, რომელსაც ამშვენებენ მომეტებულად კვიპაროსის ხეები.

ამ დღესვე ხუთს საათზედ ვნახეთ ბერძენთა იერუსალიმის პატრიარქი დამიანე და გამოვთხოვეთ კურთხევა სამგზავროდ სამშობლოსაკენ. მაკურთხა ქრისტე მაცხოვრის აღდგომის ხატითა. თუმცაღა ჩვენ ვაპირებდით წასვლას გალილეას, ნაზარეთისა და თაბორის მოსახილველად, მაგრამ პატრიარქმა არ გვირჩია, რადგანაც იქ მომეტებული სიცხეები იქმნება ამ დროს და შეიძლება ავად გახდეთო. ჩვენც უარი ვყავით იქ მგზავრობის სურვილი.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ალწობელი

(შემდეგი იქნება)

ვალის კვალობაზედ, სწორედ ეს ხუთი მანეთი უნდა დაუწესონ გადასახდელად.

აქედგან სჩანს, რომ წინად, 1894 წლამდე, მთავრობა ხარჯის გამღებს არა ჰხოცავდა, ხელს არ აფარებდა და თავისას თხოულობდა,—ჯანი გაიგდებინე და ჩემი მომეციო. ხოლო როცა იმედს დაჰკარგავდა, რომ ვეღარას ავიღებო, ან როცა შიმშილობა ეწვევოდა გლეხ კაცობას, აპატიებდა დარჩენილ ხარჯს ანსრულიად, ან ნაწილ-ნაწილ. ასეთი პატიება და წყალობა მოხდებოდა ხოლმე უფრო რომელიმე მაღალ მნიშვნელოვან საერო დღესასწაულის გამო, მაგალითებრ, ახალი ხელმწიფის ტახტზედ აბრძანების დროს და სხვა.

უკანასკნელ სამის კანონის დედააზრი კი ისაა, რომ მთავრობა მეტის მეტად უფრთხილდება ხარჯის გამღებას, უკიდურეს ღონისძიების ხმარებას ერიდება და სცდილობს ისეთს გარემოებაში ჩააყენოს, რომ გადაკვეთილის ხარჯის გაღება არ გაუძნელდეს, დაძაბუნებული ოჯახი არ დაერღვეს სამუდამოდ და, თუ შესაძლებელია, ფეხზედ წამოაყენოს, ნივთიერად გაამაგროს და გატეხილი გული გაუმთელოს.

შემდეგს წერილში ვეცდებით უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რა ყოფაშია დღეს ჩვენში თავდახსნილი გლეხი და რამდენად შესაძლებელია გამართლდეს იმედი მთავრობისა, რომელსაც იგი ამ კანონებზედ ამყარებს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** 15 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭომ მოისმინა-რა ხმოსანის თავ. ნ. ზ. თუმანოვის განცხადება, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში, და უადგილოდ სცნო-რა იმაში მოყვანილი სიტყვები, უყურადღებოდ დასტოვა იგი და მორიგ საქმების განხილვას შეუდგა. ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადებით, გამგეობამ წარუდგინა საბჭოს ბ-ნ პოლტარაცკის დამატებითი პირობები ქალაქის რკინის გზების იჯარით აღების შესახებ. გამგეობას თავისის მხრით ეს პირობები ქალაქისათვის ბელგიის უსახელო საზოგადოების პირობებზედ უმჯობესად ვერ უცვნია და ამის გამო დაუდგენია, ბ ნს პოლტარაცკის უარი ეყოსო და შუამდგომლობა აღიძრას, რომ საბჭოს დადგენილება ბელგიის უსახელო საზოგადოებისათვის ხსენებული გზების იჯარით გაცემის შესახებ შეწყნარებულ იქმნასო. საბჭომ უკამათოდ დამტკიცა გამგეობის წინადადება. აგრეთვე შეწყნარებულ იქმნა წინადადება, რომ ქალაქმა მოიწვიოს ინჟინერი ლინდლეი, რომელიც ამ ჟამად ბაქოში იმყოფება, და მიანდოს მას გამოიკვლიოს ღონისძიებანი, რომ ქალაქს წყალი არ შემოაკლდეს, სანამ ახალს წყაროებს იპოვნიდნენ და მეორე მაგისტრალს გამართავდესო. ლინდლეის მოსაწვევად საბჭომ 6000 მან. გადასდო.

ამავე კრებაზედ დაწესებულ იქმნა ახალი ნიხრი: გირვანქა კამეჩის ხორცს დაადვეს 5 კაპ., ძროხისას $7^1/_2$ კაპ., ცხვრისას 8 კაპ., და ღორისას—უკანა ფეხებს 9 კაპ. და სხვა ასოებს 5 კაპ.

შემდეგ საბჭომ მოისმინა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის წინადადება, რომ სიონის ტაძარს უფასოდ დაუთმეთ წყალიო, და შეიწყნარა იგი. აგრეთვე უფასოდ დაუთმო საბჭომ წლიურად 60 ათასი ვედრო წყალი ტფილისის საბალოსნო სასწავლებელს და აპატივა მაზედ ვალად დარჩენილი წყლის ფასი 120 მან.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ბოქაულებს, დაიარეთ ყველა სახლები და სახლის პატრონებს გააახსენეთ, რომ საჭიროა ბუხრების გაწმენდა ცეცხლის გაჩენის ასაცდენადაო.

*** ტფილისის კომენდანტს გენ.-მაიორს ი. ი. რეიტერს ებოძა ოსმალეთის სულთანისაგან 1-ლ ხარისხის მეჯიდიეს ორდენი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა გუბერნატორს, წინადადება მიეცით ქალაქის გამგეობას შეაკეთოს ტერლეკასოვის ქუჩა, რომელიც გაზაფხულის წვიმებმა გააფუჭაო.

*** ქალაქის გამგეობამ მიანდო ქალაქის მიწის მზომელს ავლაბარში იმ ადგილის დაგეგმვა, სადაც ბაღის გაშენებას აპირებენ. ეს ადგილი საეკლესიოა და 1811 წ. ხოლერით გარდაცვალებულთა სასაფლაო იყო.

*** ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ შეიმუშავა მოხსენება ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გაწმენდისა და აგრეთვე სახლის პატრონებზედ ქუჩებ-მოედნების გასაწმენდად ფულის გარდასახადის დაწესების შესახებ. ეს მოხსენება წარედგინება განსახილველად საბჭოს უახლოესს სხდომას.

*** პოლკოვნიკმა სემენოვმა პარიჟიდგან ტფილისის ქალაქის გამგეობას მოსწერა, რომ ცხენის რკინის გზაზედ ვაგონების მოძრაობისათვის საუკეთესოა ახალი მეხანიკური მამოძრავებელი მანქანა, რომელიც დღეს ყველაზედ უფრო ვრცელდება ევროპაშიო. ეს მანქანა ელექტრონისაზედ უფრო იაფად თურმე ჰღირს, მარტივი მოწყობილება აქვს და ხმარების დროს საშიში არ არის. თუ ქალაქის გამგეობა მოისურვებს, ბ-ნი სემენოვი ჰპირდება, დაუყონებლივ წარმოგიდგენთ ხარჯთ-აღრიცხვას ქალაქის ყველა გზების გადაკეთებისას. ქალაქისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებითაო.

*** ბათუმის საჯარო წიგნთ-საცავის წესდება ქუთაისის გუბერნატორს გარდაეცა.

*** 14 ნოემბერს ყარსის რკინის გზაზედ გაემგზავრა განსაკუთრებული კომისია ამ გზის მისაღებად. გზის მიღება რამდენსამე დღეს გასტანს.

*** 15 ნოემბერს, დილის 4 საათზედ, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ სადგ. ნატანებსა და სუფსას შუა ერთმანეთს დაეჯახნენ საქონლის მატარებლები №№ 105 და 162. ერთის მატარებლის მთავარი კონდუქტორი ჟორნიკი მოკლულ იქმნა; ერთი მძიმედ და ექვსი მსუბუქად დაშავდა. ორივე ორთქლ-მავალი და ორივე მატარებლის ვაგონები შესამჩნევად დაზიანდა. გზა შეიკრა, რის გამო მატარებელთა მიმოსვლა შესწყდა. როგორც ისმის, დადიან მხოლოდ სამგზავრო მატარებლები და მგზავრები ერთის მატარებლიდგან მეორეში გადაჰყავთ.

*** სადგ. მარელისის მახლობლად მყოფმა სოფლებმა შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ხსენებული სადგური სატარიფო სადგურად იქმნას გადაკეთებული.

*** „ახ. მ."-ს ქუთაისიდგან აუწყებენ, რომ საბოლოოდ გადასწყდა, რომ ქ. ქუთაისში წყალი მილით იქმნას გამოყვანილი. მილების გაყვანა და წარმოება მიენდო კონცესიით ინჟენერს ა. დ. მიხაილოვს.

*** „Вѣстн. Винод."-ის რედაქტორმა თაიროვმა სთხოვა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, კახეთის მევენახეთა კრების განსახილველ საგანთა პროგრამაში შეიტანეთ ქ. ოდესაში რუსეთის მეღვინეობის სადგურის დაარსებისა და აგრეთვე ღვინოების გაწურვის საქმეო.

*** ფულის გაძვირების გამო, გაზ. „კასპის" სიტყვით, ქ. ბაქოში დიდად შეფერხებულა ყოველგვარი წარმოება. მაგალ. სამეხანიკო ქარხნებს სამუშაო ზოგს ნახევრობით მოსპობიათ, ზოგსკი სრულიად აღარ აქვთ. ამას გარდა მომზადებულ საქონელშიაც ხშირად ფულს ვერ იღებენ. ამ გარემოებას გამოუწვევია მუშების დათხოვნა და ამჟამად ქალაქში აუარებელი ზეინკლები და ხარატები უსაქმოდ თურმე არიან დარჩენილნი.

*** უკანასკნელ ხანს ბაქოში ყოფილა: 80 ნავთის ქარხანა 4,186,700 მანეთის წარმოებით და 12,654 მუშით, 2 ზეთის ქარხანა 961,200 მან., 210 მუშით; 1 გოგირდის სიმჟავის საკეთებელი ქარხანა, 70,500 მან. წარმოების და 21 მუშით; 1 შაბიამნის ქარხანა, 2610 მან., 7 მუშა; 19 სპილენძისა და თუჯის ჩამოსასხმელი და სამექანიკო ქარხანა; 2,029,402 მან., 7,402 მუშა; 15 აგურის ქარხანა, 234,000 მან., 10,646 მუშა; 9 ორთქლის საფქვავი, 289,800 მან., 172 მუშა; 2 თამბაქოს ქარხანა, 177,000 მან., 570 მუშა; 1 სპირტის და საწმენდი ქარხანა, 349.000 მან., 4 მუშა. 1 ქოთნის ქარხანა, 800 მან., 4 მუშა 4 ბრინჯის ქარხანა, რომლებშიაც შარშან მუშაობა არ ყოფილა; 1 კალა-ქვის ქარხანა, 8,426 მან., 27 მუშა.

*** 14 ნოემბერს ღამით ტფილისში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც ავლაბარსა, ხარფუხსა და ჩუღურეთში რამდენიმე სახლი დაანგრია. მრავალ სახლს სახურავი მოჰხადა, და აივნები მოჰგლიჯა, ფარნები წააქცია, ძლიერ დააზიანა ხეები და სხ.

*** პერეიასლავის დრაგუნთა მე-46 რაზმის კორნეტი თავ. ერისთავი ინიშნება ტფილისის გუბერნიის პოლიციის დარაჯთა აფიცრად.

*** თავ. ვ. ი. ჯანდიერმა განაცხადა პოლიციაში, 8 ნოემბერს ჩემს ბინაზედ, ბარიატინსკის ქუჩაზედ, გედევანოვის სახლში, ვიღამაც 70 მანეთად ღირებული საათი მომპარაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალ სენაკი.** ბევრჯელ თქმულა და დაწერილა ქართულ-რუსულ გაზეთებში, რომ ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა ერთად-ერთი საზოგადო და საეტლო გზა მეტის მეტად გაფუჭებულია, მაგრამ ყურადღება ჯერ არავის მიუქცევია. ამ გზაზედ ყოველ დღეს შვიდი თუ რვა ომნიბუსი დადის სენაკ-ზუგდიდს შუა მგზავრებით დატვირთული. გზები ისეთი დაღრმა-ჩაღრმავებულია, რომ ეტლები დიდის ჭაპან-წყვეტით დადიან. მგზავრთ გული საგულეში არა აქვთ, თავებს ერთმანეთს ახეთქენ და გვერდები ელეწებათ ერთმანეთის დაჯახებით. აგერ სადაა, კიდევ დაზამთრდება და გგონებთ ამ ზამთარში ვერავერი გაჰკვლოს ამ ჯოჯოხეთურს შარა გზას. ხიდებიც უარესს მდგომარეობაშია: ზოგან პატარა ხიდებიც გაფუჭებულია და საშიშია ზედ სიარული. მდინარე ხობის ხიდს ხომ არა ეშველა-რა. ეს ხიდი აუცილებელს საჭიროებას შეადგენს მთელის სამეგრელოსათვის. იმაზედ სიარული აღკრძალულია და ბორანზედ გადიან მგზავრები, მაგრამ ამ უკანასკნელს დიდი ფასი აქვს, რის გამოღებაც გასაჭირია ღარიბ ხალხისათვის თუ მარტო ერთი მგზავრი მიადგა მებორნეს, იმ დრომდის ალოდინებს, ვიდრე რამდენიმე კაცი არ მოიყრის თავს. ამ გვარსავე მდგომარეობაშია ახალ-სენაკსა და მველ-სენაკს შუა საზოგადო და საეტლო გზაც. ესეც დაღრმა-ჩაღრმავებულია და ზლაზნით დადიან ეტლები. ამას წინად ამ გზაზედ აქა-იქ თითო ურემი ქვიშა დაჰყარეს გზის ნაპირებზედ, მაგრამ ისევ ნაპირებზედ ასხუპია და ვერ ედირსა მოფენას, თხრილებში ტყუილად უბრალოდ იფანტება. კარგი იქნება, ეს ქვიშა გაიფანტოს, სადაც საჭიროა და ორღო ჩოღრობი ამოივსოს, თორემ ღმერთმა მიწასთან გასწოროს.

ტელეფონი

## რუსეთი

რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებას აზრადა აქვს დააარსოს ხარკოვში ასოთ-ამწყობთა სასწავლებელი. სასწავლებელს საზოგადოება შეინახავს; ცოტა-ოდენს ქალაქიც შეეწევა.

— საერო განათლების სამინისტრომ შეუძლებელად სცნო, რომ სამოსწავლო სემინარიის მოწაფეებმა სახალხო კითხვის გამართვის დროს მონაწილეობა მიიღონ ხოლმე.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ იმპერიის განაპირა ადგილებში დაარსებულ იქმნას მოძრავი სკოლები ადგილობრივ მკვიდრთათვის.

— ზღვათა უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სალამოს კურსები იქმნას გამართული კერძო სავაჭრო გემებზედ მოსამსახურე მუშათათვის. კურსები ზამთარში იქმნება ხოლმე გამართული.

— სამთო დეპარტამენტი რამდენსამე სასანიტარო მკურნალსა ჰგზავნის იმ ადგილებში, სადაც მთა-მადნების წარმოებაა, მუშების სადგომის დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად.

— პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე იმათ, ვინც რუსეთის განაპირა ადგილებში მცხოვრებთ არა რუსთა (инородцы) ტომის ხალხის ყოფა-მდგომარეობის გამოკვლევას ადგია.

— ლაპარაკია აღძრული, რომ შეცვლილ და გაფართოებულ იქმნას აწ არსებულ რკინის გზათა სატეხნიკო სასწავლებლების პროგრამა.

— მომავალ წელს კრება ექმნებათ რუსეთის იმ მკვიდრთა სკოლების საპედაგო მოღვაწეთ, რომელნიც რუსის ტომს არ ეკუთვნიან (инородцы).

— როგორც გაზეთები იუწყებიან რუსეთის ზოგიერთ აფთიაქებში ფარმაცევტებისთვის სამუშაო საათები შეუმცირებიათ: 14 საათის ნაცვლად ეხლა იქ 7 საათს მუშაობენ.

— პეტერბურგში არსდება ახალი სამზრუნველო. ამ სამზრუნველოს საგნად ის ექმნება, რომ ინტელიგენტ ქალებს სამუშაო უშოვნოს ხოლმე.

— კიშინევიდგან იუწყებიან, რომ აქ ცეცხლი წაეკიდა დუროვის ცირკსაო. საბედნიეროდ, წარმოდგენა არ ყოფილა იმ საღამოთი. დაღუპილა ცეცხლისაგან 10 ცხენი, გაწვრთნილი თხები, ღორები, გოჭები და ფრინველნი. კაცი არავინ დაღუპულა.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გაზეთ „Köln. Zeitung"-ის კორესპონდენტი აი რას იწერებოდა 20 ოქტომბერს კაპის ბურების შესახებ:

მხოლოდ ცოტა რამ მიზეზია საკმარისი, რომ კაპის ახალშენის ბურები არა თუ მალულად, არამედ ცხადად მიემხრონ თავიანთ თანამოძმეებს—ტრანსვაალისა და ორანჟის ბურებსო. ეჭვი დაფარი მზად არის ამ გვარ ამბოხებისათვის, ხოლო რა შედეგი მოჰყვება ამას და როგორ შესცვლის ის ომის საქმეს, ამის გაზომვა ძნელია ესლაო. ამიტომ, კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისელები ცდილობენ, არავითარი მიზეზი არ მისცენ ბურებს, რომლებსაც მოძრაობის გამოწვევა შეეძლოთ მათ შორის და გულმოდგინედ უმალავენ მათ ყველაფერს, რაც რამ ხდება ნატალში. ამ მოსაზრებით არ ითხოვენ სამსახურიდგან ავროკანდიორების სამინისტროს, რომლის თანაგრძნობა ბურებისადმი ინგლისელებმა უფრო კარგად იციან, ვიდრე საზოგადოებამაო,—ამბობს კორესპონდენტი.

ხსენებული გაზეთის კორესპონდენტის სიტყვები რომ მართალია, ამას ლაპარაკიც არ უნდა. უკანასკნელი 2—3 კვირის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე მოდის დეპეშას ამბავი, რომ ამა თუ იმ ოლქის ბურებმა კაპისა და ნატალის ახალშენებში ინგლისელებს უღალატეს და ტრანსვაალ-ორანჟის ჯარს მიემხრნო. პარლამენტის წევრებიც-კი გადადიან ინგლისის მტრის მხარეს.

**ავსტრო-უნგრეთი.** 18 ნოემბერს უნდა შეიკრიბონ ვენაში ავსტრო-უნგრეთის დელეგატები, რომელთა წინაშე გრაფ გოლუხოვსკიმ უნდა განმარტოს, თუ რა პოლიტიკას ადგია იმპერია გარეშე საქმეებში. ყველა მოუთმენლად მოელის ავსტრო-უნგრეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე საქმეთა მინისტრის ანგარიშს. ეს სახელმწიფო მუდამ ერთგული იყო სამთა კავშირისა, მაგრამ ყველა ასე ჰგრძნობს ეხლა, რომ ხსენებულს კავშირს დიდი გავლენა აღარ აქვს ევროპის პოლიტიკაზედო; იმის ადგილი დაიჭირა ინგლისმა, რომელიც გულმოდგინედ ცდილობს თავისი სამფლობელო გაავრცელოს და გავლენა მოიპოვოს აზიასა და აფრიკაშიო. ჯერ არავინ იცის, რას იტყვის გრაფი გოლუხოვსკი სამხრეთ აფრიკის საქმეების შესახებ, მაგრამ ეს საგანი ბევრს აინტერესებს ავსტრო-უნგრეთში. აგრეთვე საინტერესოა საზოგადოებისათვის გაიგოს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ავსტრო-უნგრეთის მთავრობას სერბიასთან, რომლის მეფე ამას წინად არ ინახულა იმპერატორმა ფრანც-იოსებმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ქალაქ ორიოლის მახლობლად რკინის გზის ვაგონში შემდეგი ამბავი მომხდარა. პირველ კლასის ვაგონში ვიღაც კაცი ყოფილა. ამ კაცს მიუმართავს კონდუქტორისათვის და უთქვამს, მეორე კლასის ვაგონში ბ-ნი დრეიფუსია და, გთხოვთ, აქ დაუძახოთო. კონდუქტორი შესულა ამ ვაგონში და დაუძახნია, ვინ არის აქ დრეიფუსიო? ყველას, გაკვირვებულს და განცვიფრებულს, თვალები დაუჭყეტია. ეს გაკვირვება და განცვიფრება გაორკეცებულა უფრო მაშინ, როდესაც ერთს მაღალ-მაღალს და გამხდარს კაცს უთქვამს ხმა-მაღლა კონდუქტორისათვის, დრეიფუსი მე ვარო. ყველა იმ კუთხისაკენ გაემართა თურმე, სადაც ეს კაცი იჯდა. ყველას უნდოდა თავის თვალით დაენახა დრეიფუსი, რომელიც ამ დროს წამომდგარა და პირველ კლასის ვაგონში შესულა. რასაკვირველია, ხალხი უკან დასდევნებია. მალე მთელ მატარებელში გავრცელებულა ხმა, რომ დრეიფუსი აქ არის და ამ მატარებლით მოდისო. როდესაც მატარებელი სადგურთან მისულა, ეს ხმა ელვის უსწრაფეს სადგურსაც მოსდებია. მატარებელს აუარებელი ხალხი შემოერტყა თურმე. ყველა დრეიფუსის ჩამოსვლას და იმის ნახვას ელოდა. სხვათა შორის, სადგურზედ მრავალნი ებრაელნი შეკრებილან, რომელთაც განიზრახეს დახვედროდნენ დრეიფუსს; მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი ამ სადგურზედ არ ჩამომხტარა, თვით ჩამსხდარან მატარებელში იმ იმედით, რომ იქ მაინც ვნახავთ და სამ-ოთხ სადგურზედ გავაცილებთ ამ შესანიშნავ კაცსაო. მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება და მწუხარება, როდესაც შეუტყვიათ, რომ მატარებელში მყოფი დრეიფუსი, ნამდვილი დრეიფუსი არა ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი რუსი ყოფილა, სადგურ დუბროვკის მცხოვრები, მაგრამ იმდენად ჰგავნებია დრეიფუსს, რომ ამხანაგების ხუმრობით კაპიტანის გვარი დაურქმევიათ. თვითაც ისე შესჩვევია ამ გვარს, რომ აღარ თაკილობდა თურმე. ამბობენ, რომ სადგურიდგან მახლობელ ქალაქში დეპეშით აცნობეს დრეიფუსი მოდისო, რის გამო მთელი ქალაქი,—ქალი და კაცი,—მოემზადა ამ „ყალბის“ დრეიფუსის დასახვედრადაო.

***

ამ ჟამად, გაზეთების სიტყვით, პარიჟში შეუდგნენ ახალის წიგნის გამოცემას, რომლის თითო ცალიც 2000 ფრანკი ეღირება. წიგნს სათაურად ეწერება: „მაღალის საზოგადოების მანდილოსანთა წარსულ საუკუნეში“. წიგნში აწერილი იქმნება ამ მანდილოსანთა შინაური ცხოვრება, ყოფა-ქცევა, ჩვეულებანი, ზნენი, ურთ-ერთ დამოკიდებულება და სხვა. წიგნი შემკობილი იქმნება მრავალის საუცხოვო სურათით. დაიბეჭდება სულ 200 ცალი ამ წიგნისა.

***

ამას წინად ინგლისურმა გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ ლონდონში ახალი სექტა გაჩნდა, რომლის მიმდევარნიც უარსა ჰყოფენ სამკურნალო მეცნიერებას და მკურნალობას. ამ სექტანტებს „ქრისტიანე-სიენტისტებს“ ეძახიან. ისინი ამბობენ, რომ კაცს ყოველგვარ ავადმყოფობისაგან მარტო სარწმუნოება მოარჩენს და არა ექიმთა მკურნალობაო. ეხლა, როგორც იუწყებიან, მეორე ასეთი სექტაც გაჩენილა. ესენი ამტკიცებენ კიდევ, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ ღვთის მფარველობის ქვეშ მარტო ჩვენ ვიმყოფებით და ამიტომ თუ ჩვენგანი ავად გახდა ვინმე, ღმერთი თვით გაჰკურნავს, ექიმი იმისთვის საჭირო არ არისო. რამდენად სარწმუნოა ამათი მოძღვრება, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს: ამ დღეებში ერთს ასეთს სექტანტს შვილი გახდომია ავად ერთის კვირის შემდეგ ბავშვი გარდაცვლილა. სასამართლოში საქმე აღუძრავთ დედ-მამის წინააღმდეგ, რომ შვილს ყურადღება არ მიაქციეს და იმისაგან გარდაიცვალაო. მოსამართლემ ამისათვის მამას 6 კვირით და დედას 4 კვირით დაპატიმრება მიუსაჯა. „ღვთის განსაკუთრებულ მფარველობის მყოფმა“ დედ-მამამ ბევრი უმტკიცა თურმე მოსამართლეს, რომ ბავშვი უეჭველად უნდა მომკვდარიყოო, მაგრამ ამ უკანასკნელს იმათ ლაპარაკისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ნოემბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. მეტუენისაგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ გენერალი საბრძოლად 13 ნოემბერს დილით გასულა. მიახლოვებია რა გრასპაოს, შეჰხვედრია მოწინააღმდეგის რაზმს, რომელიც 2,500 კაცისაგან შესდგებოდა და რომელსაც 6 ზარბაზანი ჰქონია. ბრძოლა დილის ექვს საათზედ დაიწყო. ბატარეებიდგან იმ დრომდე ისროდნენ, ვიდრე მტერი მაღლობებს თავს მიანებებდა, მაშინ ჯარის-კაცებმა იერიში მიიტანეს. ძლიერის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც ათი საათი გასტანა, მაღლობები აიღეს. ბურებმა დაიწიეს, იმათი ადგილი ულანთა მე-9 რაზმმა დაიჭირა. ომის დაწყებისას 500 ბურმა იერიში მიიტანა მოწინავე რაზმზედ, მაგრამ გვარდიის ბრიგადამ უკან დასწია მტერი. საზღვაოსნო ბრიგადა მამაცად იბრძოდა, მაგრამ ბევრი მეომარი დაჰკარგა. დაწვრილებით არ ვიცით ზარალი. ბურებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს. რამდენადაც ვიცით, 30 კაცი მოკვდა და 45 დაიჭრა იმათი. ერთ ადგილას 50 მოკლულის ცხენის ლეში ეგდო. ინგლისის ჯარი გარასპაოში ერთ დღე-ღამეს გაატარებს.

იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ხუთ-შაბათს მოხდა გენერალი მეტუენი დეპეშით შემდეგს იუწყება: „ჩვენ გავიგეთ, რომ ბურების მხრივ 80 კაცი იქმნა მოკლული. ჩვენ დავწვით ბურების 64 ურემი, გავანადგურეთ 750 არტილერიის იარაღი და 50,000 ტყვია, აგრეთვე თოფის წამალი. ბურების არტილერიას უფროსობდა ალბრეხტი ხოლო მთელ ჯარს დოლივი.

**პეკინი.** საფრანგეთის ელჩმა მოითხოვა, რომ ჩინეთის ის მოხელენი, რომელნიც პასუხის-მგებელნი არიან საფრანგეთის აფიცრების მოკვლაში, სიკვდილით იქმნენ დასჯილნი, და ამის გარდა ჩინეთმა ცოტაოდენი ფულიც გადაიხადოს. ჩინეთი უთუოდ დათანხმება, რადგანაც უფრო მძიმე პირობებს მოელოდნენ.

**დურბანი.** 13 ნოემბერი. გენერალი ბულლერი აქ მოვიდა დღეს საღამოთი და გუბერნატორის სალონ-ვაგონით ნატალში წავიდა. გენერალს ხალხი ალტაცებით მიეგება.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო“. ტელეგრაფით ამბის მიტან-მოტანა ესტკორტამდის აღდგენილ იქმნა. მდინარე მოოისაკენ გაგზავნილი მზვერავი ჯარი ჯერ არ დაბრუნებულა.

**ესტკორტი.** „რეიტერის სააგენტო“. ჟუბერი ლედი-სმიტისაკენ იწევს მდინარე მოოიდგან.

**კაპშტადტი.** „რეიტერის სააგენტო“. ბურები უახლოვდებიან სტრომბერგს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. „Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ ესტკორტიდგან 14 ნოემბერს, რომ მდინარე მოოის ნაპირიდგან გასული ინგლისელები დღეს შეუერთდნენ ფრერეში გენერალ გილიარდის ჯარსო. იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ პიტერმარიცბურგიდგან, 14 ნოემბერს, რომ გუშინ აქ მოვიდა გენერალი ბულლერიო.

„Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადიდგან, 14 ნოემბერს, რომ, პრეტორიიდგან მოსულ ცნობებით, პრეზიდენტის კრიუგერის ჯანმრთელობა საშიშოთ არისო.

16 ნოემბერი

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო“. როგორც დეპეშით ატყობინებენ „Ntal Advertiser“-ს ესტკორტიდგან, ბრძანება გაუციათ, რომ მთელი ინგლისის ჯარი გაილაშქროს კოლენზოზედ. გაზეთის აზრით, ჟუბერი მიტომ იხევს უკან, რომ ინგლისელებს შეძლება არ მისცეს ტუგელზედ გასვლისა.

**ლონდონი.** რკინის გზის ლიანდაგი მოოი-რივერ-ფრერისა აღდგენილია. სამხედრო სამინისტროში დეპეშა მოვიდა პიტერმარიცბურგიდგან გენერალ ბულლერისა, გუშინ საღამოს გამოგზავნილი, რომელიც იუწყება, რომ ბრიგადამ, რომელიც გენერალ გილდიარის უფროსობის ქვეშ იმყოფება, 11 ნოემბერს ესტკორტიდგან ბურების წინააღმდეგ გაილაშქრაო. ამ უკანასკნელთ ბეკონის მაღლობი დაიჭირეს, რომელიც ვილლა-გრეჯს დაჰყურებსო. ბურებმა უკან დაიხიეს; ტელეგრაფი ესტკორტსა და ვესტანს შორისაც აღდგენილიაო. ინგლისელებს 14 კაცი მოუკლა მტერმა და 50 დაუჭრა. გილდიერი მიუახლოვდა ფრერის მახლობლად ბურების ბანაკს და იმედი აქვს გზა მოუჭრას იმათ, რომელნიც, როგორც ჰფიქრობენ, კოლენზოსაკენ იწევენო. ბარტონი დასავლეთის მხრით მიდის ესკორტისაკენ. რკინის გზა გახსნილი არის ეხლა ჩრდილოეთის მხრით ფრერამდის.

**დურბანი.** „რეიტერის სააგენტო“. 11 ნოემბერს, ბეკონის სერთან ბრძოლის დროს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ჯარი გილდიარის უფროსობით, ინგლისელების მხრით, როგორც „Natal Advertiser“-ს გაუგია, მომკვდარა 15 კაცი და ტყვედ წაუყვანიათ 72; უესტ-იოკშირის პოლკის რამდენიმე კაცი და მაიორი გობსი ტყვედ ჩაუვარდნენ ხელში მტერს. ჯარში აკლიათ რამდენიმე უნტერ-აფიცერი და სალდათი.

**ესტკორტი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს ინგლისელები ფრერისაკენ წავიდნენ. რკინის გზის ხიდები დანგრეული დახვდათ. რკინის გზის ლიანდაგი ექვს ადგილას შეკეთდა. ბურები სიჩქარით უკან იხევენ.

## განცხადებანი


# 1900 Г.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

# „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

СЪ БЕЗПЛАТНЫМЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ

**„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.**

Выходитъ два раза въ недѣлю *): по воскресеньямъ и четвергамъ

**безъ предварительной цензуры.**

Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою 7 руб.

**Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб. и къ 1-му апрѣля—остальные—3 рубля.**

Правительственныя и общественныя учрежденія, а также должностныя лица этихъ учрежденій вправѣ подписываться въ кредитъ, но при условіи, чтобы: а) требованія были заявлены на бланкѣ присутствія съ указаніемъ числа, мѣсяца, года и №; б) при требованіи были присланы два рубля, и в) требовательномъ бланкѣ опредѣленъ былъ срокъ, къ которому должны быть доставлены въ редакцію остальныя подписныя деньги (5 р.) за газету, при чемъ учрежденіе принимаетъ на себя отвѣтственность за своевременную присылку остальныхъ денегъ (5 р.), до истеченія того года, на который сдѣлана подписка.

**(Адресъ: С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 59).**

ПРОГРАММА: Передовыя статьи.—Обзоръ постановленій отечественнаго и послѣднихъ важнѣйшихъ постановленій иностраннаго законодательствъ. Статьи и замѣтки спеціально юридическаго содержанія.—Рисунки и иллюстраціи къ тексту статей на общемъ основаніи.—Вѣсти и слухи.—Корреспонденціи.—Фельетонъ.—Рѣшенія Правительствующаго Сената.—Отчеты о судебныхъ засѣданіяхъ и процессахъ.—Рефераты юридическихъ ученыхъ обществъи диспуты.—Движеніе по государственной и общественной службѣ (приказы министерствъ.)—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правителствующаго Сената.—Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридическихъ журналовъ.—Новыя книги и отзывы о ныхъ (библіографія). Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за газету, могутъ обращаться въ контору „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административными, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ и личныхъ интересовъ. Порученія эти редакція принимаетъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе въ «Юридической Газетѣ», въ отдѣлѣ «Почтоваго ящика», справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департаментовъ Правительствующаго Сената, но не болѣе 3-хъ разъ въ теченіе подписнаго года, дѣлается безплатно. Лица же, желающія получить по дѣламъ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената справки по почтѣ, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по телеграфу присылаютъ кромѣ двухъ рублей и стоймость отвѣтной телеграммы.

§ 2. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3) Справки и порученія по судебнымъ и административнымъ департаментамъ Правительств. Сената, равно какъ и по всѣмъ, вообще, кромѣ Кассаціонныхъ Департаментовъ Сената (см. выше § 1 й), центральнымъ и мѣстнымъ административнымъ и судебнымъ учрежденіямъ (правительственнымъ и общественнымъ) должны производиться на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4) Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. производится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 5. Лица и учрежденія, обращающіяся за справками, обязаны сообщать: а) бандероль, за которою получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого присутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ и должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 6,—При не взносѣ полной годовой подписной платы и при неисполненіи, условій указанныхъ выше въ §§ 1—5 настоящей программы, всѣ требованія, запросы и порученія оставляются безъ движенія, такъ какъ порученія, предусмотрѣнныя § 1, обазательны для конторы, если подписчикомъ исполнены требованія, указанныя въ §§ 1 и 5, а порученія, предусмотрѣнныя въ §§ 2—4, могутъ считаться обязательными для конторы лишь тогду, когда послѣдняя изъявитъ согласіе принять исполненіе возлагаемаго на нее порученія.

§ 7. Контора редакціи «Юридической Газеты» также принимаетъ на себя указаніе адресовъ повѣренныхъ для веденія дѣлъ.

*) Въ дни Рождества Христова, равно на сырной, страстной и пасхальной недѣляхъ, а также въ два лѣтніе мѣсяца (съ 15 іюня по 15 августа) газета выходитъ по одному разу въ недѣлю. (3—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 16 Ноя ябр 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე